



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N16**

ქ. მარნეული

13.09.2017 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**საკრებულოს წევრები:** - ნაზი აბდულაევი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, აზიდ ოსმანოვი, ქამილ ალიევი, რამიზ გიულმამედოვი, ზურაბ ჭონიაშვილი, ისმაილ ბაირამოვი, აიდა ხაჩიკიანი, რაგიმ ასკეროვი, ბესიკ გუჯეჯიანი, არსენ ახვერდიანი, მამედ მამედოვი, სადრადინ ტალიბოვი, აგილ ფაშაევი.

**არ ესწრებოდა:**

- ვალერი მეტრეველი, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ვალი ისმაილოვი, ლერი მუმლაძე, ლევონ აკოპიანი, აგილ მუსტაფაევი, გივი ქველაძე, რუსტამ ფაშაევი, სულეიმან ხალილოვი, მაილ მიქიევი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი, რაფიკ ჯაფაროვი.

**სხდომას ესწრებოდა**

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე,

**პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები:** „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 31 აგვისტოს N03/10476 წერილის განხილვის შესახებ.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის 29 აგვისტოს N84 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 სექტემბრის N03/10559 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 აგვისტოს N03/9774 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის 2017 წლის 25 აპრილის N1863-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის 2017 წლის 13 ივლისის N3141-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
8. ქალაქ მარნეულში, ნარიმანოვის ქუჩა N3–ში მცხოვრები მოქალაქე რასიმ ორუჯოვის განცხადების (რეგ. N267/05. 29.08.2017 წ) განხილვის შესახებ.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის 2017 წლის 7 აგვისტოს N3480-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 22 აგვისტოს N3686-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 21 აგვისტოს N3666-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 5 სექტემბრის N3830-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 11 სექტემბრის N03/10759 წერილის განხილვის შესახებ.

#### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 31 აგვისტოს N03/10476 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო გეგმა და საპრივატიზაციო ნუსხა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N81. 13.09.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის 29 აგვისტოს N84 წერილი და ითხოვა მხარდაჭერა, რათა ეთხოვოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, როგორც გამონაკლისი, უზრუნველყოს სარეზერვო ფონდიდან ერთჯერადად თანხის გამოყოფა მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენების ლუკა კაპანაძისათვის, რომელმაც 2017 წლის 9–13 აგვისტოს ჩილეში, ქალაქ სანტიაგოში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში კადეტთა შორის დაიკავა მეორე ადგილი და ბექა წიფიანისთვის, რომელმაც 2017 წლის 25–28 ივლისს უნგრეთში, ქალაქ გიორში ჩატარებულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში ძიუ–დოში ასევე დაიკავა მეორე ადგილი, თითოეულს 1500–1500 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N72. 13.09.2017 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საწვავის გადანაწილების ლიმიტი, არსებული ლიმიტის ფარგლებში.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N78. 13.09.2017 წ)

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 11 აგვისტოს N03/9774 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილის 2017 წლის 9 აგვისტოს N3524-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 დეკემბრის N286 განკარგულებაში შესატანი ცვლილების შესახებ, რომლითაც მტკიცდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის 89“-ის საზღვრები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N75. 13.09.2017 წ)

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 16 აგვისტოს N03/9940 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილის 2017 წლის 25 აპრილის N1863-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის 41“-ს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N41-ში მდებარე კორპუსზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები შ.პ.ს. „იმერეთი“-ს მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 2299 კვ.მ. განაშენიანების ფართი შენობა - 01/5-866 კვ.მ, 02/1-21 კვ.მ, 03/1-18 კვ.მ, 04/1-24 კვ.მ. 05/1-24 კვ.მ. 06/1-17 კვ.მ. 07/1-12 კვ.მ.).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N74. 13.09.2017 წ)

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 16 აგვისტოს N03/9968 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2017 წლის 13 ივლისის N3141-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 ნოემბრის N261 განკარგულებაში და დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერეკლე II ქუჩა N6“-ს „ქალაქ მარნეულში, „ერეკლე II ქუჩა N6“-ს -ში მდებარე მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის კორექტირებული ფართი და საზღვრები ი/მ „ალახვერდი მამედოვი“-ს მიერ 2017 წლის 28 ივნისს შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N76. 13.09.2017 წ)

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N29. 13.09.2017 წ)

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კოტე ბოჭოიძე იმყოფება შვებულებაში, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში, ნარიმანოვის ქუჩა N3-ში მცხოვრები მოქალაქე რასიმ ორუჯოვის განცხადება, რომელიც ითხოვს 3 წლის შვილისათვის ოპერაციის დაფინანსებას 1480 ლარით და იმის გამო, რომ ოჯახს არ აქვს სოციალური ქულები, ვერ ჯდება პროგრამაში. ოჯახს არ აქვს საშუალება დააფინანსოს შვილის ოპერაცია, რისთვისაც ითხოვენ დახმარებას. გამოითქვა აზრი, რომ საკრებულოს საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს და როგორც გამონაკლისი, ეთხოვოს მას თანხა გამოყოს სარეზერვო ფონდიდან, ვინაიდან საქმე ეხება პატარა ბავშვის ჯანმრთელობას, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის 2017 წლის 7 აგვისტოს N3480-03 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ითხოვდნენ აუქციონის წესით გასაცემი ბილბორდების სიის დამტკიცებას და მის განკარგვაზე თანხმობის მიცემას. გამოითქვა აზრი, რომ იმის გათვალისწინებით, რომ

საკითხი მოითხოვს რიგ უწყებებთან შეთანხმებას, სასურველია მისი შეთანხმება მოხდეს ამ შეთანხმების და საკითხის ძირეულად შესწავლის შემდეგ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 1 სექტემბრის N03/10508 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 22 აგვისტოს N3686-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს 2 წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, იჯარით გადასცეს ა.ა.აი.პ. „ახალგაზრდა არქეოლოგთა კავშირი“-ს წერეთლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეგლიარში მდებარე 2003 კვ.მ. სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N83.09.01.967) მარნეულის მუნიციპალიტეტში არქეოლოგიის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N80. 13.09.2017 წ)

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 5 სექტემბრის N03/10610 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 21 აგვისტოს N3666-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა მიცუბისი პაჯერო „1.8 IO“ სახელმწიფო ნომერი GVG-041, დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ თხოვების ფორმით გადაეცეს შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N79. 13.09.2017 წ)

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორემეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 5 სექტემბრის N03/10609 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2017 წლის 5 სექტემბრის N3830-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით,

იჯარის ფორმით გადასცეს ქალაქ მარნეულში მცხოვრებ მოქალაქე აფარ ალიევას ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N84 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 209 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი N83.02.19.409) 42 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N77. 13.09.2017 წ)

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 11 სექტემბრის N03/10759 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცი და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა დამტკიცდეს შ.პ.ს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ის 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N73. 13.09.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეთექვსმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი